საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე - ქეთევან უტიაშვილი

კომისიის წევრი - თეიმურაზ თოდრია

კომისიის წევრი - ხათუნა ჩხაიძე

საჩივრის ავტორი – მ. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.11.2018

საჩივრის რეგისტრაციის № 153/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ჯ. /სიითი N ..../

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ჯ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2018 წლის 01 ნოემბერს საჩივრით მომართა მ. ნ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ი. ჯ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს. ის ამ შენობაში არის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი. 2018 წლის 17 თებერვალს ამხანაგობის თავჯდომარემ ვ. ს.-მა მოიწვია ამხანაგობის საერთო კრება, რომელსაც ესწრებოდა ამხანაგობის წევრთა 2/3-ზე მეტი (არ ესწრებოდა მხოლოდ

საჩივრის ავტორი და კიდევ ერთი მაცხოვრებელი, ნ. ა.). ამ კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ ამხანაგობის ინიციატივით მოხდებოდა საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირება და აღნიშნულ პროექტში შევიდოდა ცვლილებები იმ სახით, რა სახეც სახლს დღეის მდგომარეობით გააჩნია. პროექტში შეტანილი ცვლილებების საშუალებით კი, მეზობლებმა მიითვისეს საერთო ფართები. კერძოდ, მე-3 სართულზე მიითვისეს აივანი, ხოლო მეორე სართულზე მიითვისეს სადარბაზოს ნაწილი და საერთო სარგებლობის ოთახი (30კვ.მ).

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ საქმეზე მას დასჭირდა ადვოკატის მომსახურება და რადგან მის იურისტს არ აქვს სასამართლოში გამოსვლის უფლება, საადვოკატო მომსახურების მისაღებად მიმართა ადვოკატ ი. ჯ.-ს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ი. ჯ.-ს შეხვდა მისი ამხანაგის სახლში, სადაც ადვოკატმა საქმის გაუცნობლად მოითხოვა 1500 ლარი. მ. ნ.ს აზრით, ადვოკატი ი. ჯ. უგულისყუროდ მოეკიდა მის საქმეს, რადგან ადვოკატი არ გაეცნო საქმეს და ისე მოითხოვა ანაზღაურება. ამის გამო მან ადვოკატს მომსახურებაზე უარი განუცხადა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ი. ჯ.-მა, მისი მეგობრისგან გაიგო მ. ნ.ს პირადი ნომერი და შეხვედრიდან მეორე დღეს დაურეკა. ადვოკატმა იგი დაარწმუნა, რომ მისი მომსახურებით ესარგებლა, ხოლო მომსახურების საფასური 1500 ლარიდან 500 ლარამდე დაწია. ადვოკატმა მას მისცა გარანტია, რომ მერიაში თუ არა, სასამართლოში მაინც მოიგებდა საქმეს, ხოლო წაგების შემთხვევაში თანხას უკან დაუბრუნებდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ი. ჯ.-თან შეხვედრა მეორე დღეს, მის ქუჩაზე მოხდა. მას ადვოკატმა გამოართვა 500 ლარი და უთხრა, რომ მისი დასწრების გარეშე გააფორმებდა ხელშეკრულებას, ისე რომ საქმეს არ გაცნობია.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მიუხედავად მისი მრავალჯერადი მცდელობისა, რომ საქმის მასალები გადაეცა ადვოკატ ი. ჯ.-ისათვის, ადვოკატი აღარ შეხვედრია საქმის ქ. თბილისის მერიაში ადმინისტრაციულ განხილვამდე. მას ადვოკატი ი. ჯ. ყოველ ჯერზე ეუბნებოდა, რომ გაეცნობოდა საქმის მასალებს.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, მერიაში ჩანიშნული მოსმენის დღემდე (21.09.2018წ.) ადვოკატ ი. ჯ. არ იყო საქმეს გაცნობილი. ადვოკატმა იგი დაარწმუნა, რომ მოსმენამდე 15 წთ ადრე გაეცნობოდა და ეს მისთვის საკმარისის იქნებოდა.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ი. ჯ. განხილვაზე მივიდა მოუმზადებელი. მის გამოსვლაში ჩანდა, რომ იგი საერთოდ არ იცნობდა საქმეს და არაფერი გააკეთა მისი ინტერესის დასაცავად. გარდა ამისა, ადვოკატ ი. ჯ.-ის სუსტმა გამოსვლამ მოწინააღმდეგე მხარის დაცინვა გამოიწვია. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ნაწილობრივ თავად მოუწია პოზიციის დაცვა 21.09.2018 წელს მერიაში ჩანიშნულ მოსმენაზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ი. ჯ.-მა 2018 წლის 03 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება. ადვოკატის განმარტებით, მ. ნ.-თან შეთანხმების საფუძველზე, მისი ინტერესები დაიცვა ქ.თბილისის მერიაში.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მხარეები შეთანხმდნენ მომსახურების საფასურზე, 500 ლარზე. ეს თანხა მან კლიენტისაგან მიიღო.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მას გარანტია არ მიუცია მ. ნ.სათვის და არც სასამართლოში წარმომადგენლობას მოიცავდა მათი შეთანხმება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან შეთანხმებისამებრ გაუწია მერიაში მ. ნ.-ს წარმომადგენლობა და დაიცვა მისი ინტერესები, შესაბამისად, თვლის, რომ კლიენტს მიღებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარი უკან არ უნდა დაუბრუნდეს.

IV სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. ჯ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №..../ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 მ. ნ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 01 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ჯ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ი. ჯ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ისე გავიდა მერიაში ჩანიშნულ მოსმენაზე წარმომადგენლად, რომ საქმის მასალებს არ იცნობდა, რის გამოც მ. ნ.-ს ნაწილობრივ თავად მოუწია პოზიციის დაცვა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ი. ჯ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

5.3 ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად.

5.4 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე 062/15/ განმარტა, რომ ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მ. ნ. და ადვოკატი ი. ჯ. შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი ი. ჯ. მომსახურებას გაუწევდა ადმინისტრაციულ საქმეზე, მერიაში საქმის განხილვაში მონაწილეობის გზით. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, ადვოკატ ი. ჯ.-ის მიერ განხორციელებულია შემდეგი მოქმედებები: ადვოკატი გაეცნო საქმის მასალებს, წარმოადგინა მ. ნ. 21.09.2018 წელს ქ. თბილისის მერიაში მიმდინარე მოსმენაზე. საქმეში წარმოდგენილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის აუდიო ვერსია, საიდანაც იკვეთება, რომ ადვოკატმა სხდომაზე განახორციელა საადვოკატო მომსახურება. კოლეგიის შეფასებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ადვოკატ ი. ჯ.-ის მიერ კლიენტისათვის არაკვალიფიციური მომსახურების გაწევა არ იკვეთება.

5.6 იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა ი. ჯ.-მა მიღებული საადვოკატო მომსახურების თანხის, 500 ლარის ფარგლებში ვალდებულება აიღო კლიენტისათვის მომსახურება გაეწია მერიასა და სასამართლოში, და მან ვალდებულება არ შეასრულა, კლიენტისათვის სასამართლოში არ გაუწევია მომსახურება, შესაძლოა დარღვეული იყოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი:

,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

5.7 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების

საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #037/14).

5.8 მხარეები სადავოდ არ ხდიან გარემოებას, რომ ადვოკატმა ი. ჯ.-მა კლიენტისაგან მომსახურების საფასურის სახით მიიღო 500 ლარი. საქმეში წარმოდგენილი 2018 წლის 25 აგვისტოს ორდერით იკვეთება, რომ ადვოკატმა აიღო ვალდებულება წარმოედგინა საჩივრის ავტორის ინტერესები ქ.თბილისის მერიაში, რაც წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, მან შეასრულა. შესაბამისად, ადვოკატმა მიღებული საადვოკატო მომსახურების თანხა გამოიმუშავა და ეთიკური ვალდებულება არ დაურღვევია.

5.9 იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა ი. ჯ.-მა კლიენტს მისცა გარანტია, რომ მოიგებდა საქმეს ან ქ. თბილისის მერიაში ან სასამართლოში, ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი:

,,ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით“.

5.10 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 12 ივნისის N077/13 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას; თუკი კლიენტისათვის მოულოდნელი სასამართლო გადაწყვეტილებით სრულდება საქმე, კლიენტი, როგორც საზოგადოების წევრი უნდობლობით განიმსჭვალება ან ადვოკატის ან სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ადვოკატის პროფესიის განზოგადებულ რეპუტაციაზე ან მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაზე.“

5.11 კოლეგია განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე

დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები.“ საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე.

5.12 კოლეგიის შეფასებით, მხარეებს საქმის შედეგზე გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით აქვთ განსხვავებული პოზიციები. მომჩივანის პოზიციით, ადვოკატმა საქმის მოგების გარანტია მისცა მათი პირველი შეხვედრისას, მაშინ, როდესაც მის საქმეს ბოლომდე არც კი იცნობდა, ხოლო თავის მხრივ, ადვოკატი განმარტავს, რომ მას კლიენტისათვის საქმის შედეგზე გარანტია არ მიუცია. მხარეებს არ წარმოუდგენიათ თავიანთი პოზიციის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც გარანტიის მიცემის ფაქტს დაადასტურებდა. შესაბამისად, კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატ ი. ჯ.-ს კლიენტისათვის გარანტია მიუცია.

5.13 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N153/18 ადვოკატ ი. ჯ. მიმართ /სიითი №..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კომისიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კომისიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/

კომისიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/